

**SMS სერვისის მომსახურებით სარგებლობის პირობები**

**1. SMS სერვისი**

1.1. სს მიკრობანკი „ემბისი“ (შემდგომში „მიკრობანკი“; ს/კ 404967078; მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზია N472; მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N68, I სართული, საოფისე ფართი N2; ელ. ფოსტა: [info@mbc.com.ge](mailto:info@mbc.com.ge); ტელ.: (+995 32) 2 50 50 02); საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი ([www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)), მის.: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1) კლიენტს, მის მიერ „SMS სერვისის გააქტიურების შესახებ“ განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე, უაქტიურებს SMS სერვისის მომსახურებას, წინამდებარე წესებისა და პირობების შესაბამისად.

1.2. კლიენტის მიერ განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე SMS სერვისის მომსახურების გააქტიურებით, კლიენტს, მოკლეტექსტური შეტყობინების (SMS) მეშვეობით, შეუძლია:

1.2.1. მიიღოს ინფორმაცია:

1.2.1.1. სპეციალური კოდების შესახებ, ინტერაქტიული შეტყობინებებით სარგებლობისთვის (ბრძანების სიის მოთხოვნა);

1.2.1.2. სესხის ან/და საკრედიტო ბარათის უახლოესი გადახდის თარიღის და თანხის შესახებ;

1.2.1.3. სესხ(ებ)ზე დარჩენილი ძირი თანხის ოდენობის შესახებ;

1.2.1.4. საკრედიტო ბარათ(ებ)ზე დარჩენილი ლიმიტის შესახებ;

1.2.1.5. მიკრობანკის კომერციული გაცვლითი კურსის შესახებ;

1.2.1.6. კლიენტის უნიკალური ნომრის გაგება, რომელიც მას ენიჭება მიკრობანკის ბაზაში;

1.2.1.7. ნებისმიერ დროს აღადგინოს გათიშული სარეკლამო შინაარსის მოკლეტექსტური შეტობინებების მიღება, 3.2.2. პუნქტის შესაბამისად.

1.2.3. ინტერაქტიული შეტყობინებების მეშვეობით ინფორმაციის მისაღებად, SMS კოდი უნდა გაიგზავნოს ნომერზე - 91750 (გაგზავნილ SMS-ზე ვრცელდება მობილური ოპერატორის სტანდარტული ტარიფები):

SMS კოდი	ინფორმაციის შინაარსი
INFO	სპეციალური კოდების - ბრძანების სიის მოთხოვნა
PAY	ინფორმაცია სესხის უახლოესი გადახდის თარიღის და თანხის ოდენობის შესახებ
BALANCE	ინფორმაცია სესხ(ებ)ზე დარჩენილი ძირი თანხის ოდენობის შესახებ
CARDLIMIT	ინფორმაცია საკრედიტო ბარათ(ებ)ზე დარჩენილი ლიმიტის შესახებ
CNUM	კლიენტის უნიკალური ნომრის გაგება
MBCRATES-ვალუტის სამნიშნა კოდი (USD, EUR, RUB, GBP, TRY)	ინფორმაცია მიკრობანკის კომერციული გაცვლითი კურსების შესახებ

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტი SMS სერვისის მომსახურებით სარგებლობისას შეტყობინებებს მიიღებს ქართულ ენაზე.

1.4. კლიენტი ანიჭებს მიკრობანკს უფლებამოსილებას, დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები SMS სერვისის მომსახურებით სარგებლობის მიზნებისთვის, მანამ, სანამ მიკრობანკი კლიენტისგან არ მიიღებს

სხვაგვარ მითითებას, მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონმდებლობით დადგენილი წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით.

1.5. გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – <http://nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

## **2. SMS სერვისის მომსახურების საფასური**

2.1. SMS მომსახურების აქტივაცია უფასოა.

2.2. კლიენტის მიერ, SMS მომსახურების მიღების ყოველწლიური საფასური შეადგენს 10 ლარს.

2.3. კლიენტის ინიციატივით, SMS სერვისის მომსახურების ვადაზე აღრე გაუქმების შემთხვევაში, სერვისით სარგებლობისთვის გადახდილი საფასური კლიენტს არ უბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კლიენტი სარგებლობს SMS სერვისით მომსახურებაზე უარის თქმის უფლებით, 3.2.1. პუნქტის შესაბამისად.

## **3. მხარეთა უფლება-მოვალეობები:**

### **3.1. კლიენტი ვალდებულია:**

3.1.1. მოკლექტექსტური შეტყობინება გაავრცელოს მიკრობანკის მიერ მითითებულ ნომრებზე;

3.1.2. არ დაუშვას მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის ან/და სიმ-ბარათის მოხვედრა მესამე პირის განკარგულებაში. კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი SMS სერვისის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის მესამე პირის მიერ მოპოვებით მიღებულ შესაძლო ზიანზე/ზარალზე;

3.1.3. „SMS სერვისის გააქტიურების შესახებ“ განაცხადში დაფიქსირებული მობილური ნომრის შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს მიკრობანკს წერილობითი ფორმით – მიკრობანკის სერვის ცენტრში ვიზიტით და განცხადების დანერის გზით.

### **3.2. კლიენტი უფლებამოსილია:**

3.2.1. ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას SMS სერვისით მომსახურებაზე, წინამდებარე გარიგების დადებიდან/მინოდებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნული უფლების გამოყენების მიზნით, კლიენტი უფლებამოსილია მიკრობანკის ნებისმიერ სერვის ცენტრში, ადგილზე განცხადების დანერის გზით, უარი თქვას SMS სერვისით მომსახურებაზე, რა ღროსაც მას დაუბრუნდება გადახდილი SMS მომსახურების მიღების საფასური, არაუგვიანეს, განცხადების მიღების დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

3.2.2. ნებისმიერ დროს აღადგინოს გათიშული სარეკლამო შინაარსის მოკლექტექსტური შეტყობინებების მიღება, მიკრობანკის ნომერზე 91350 კოდის - „SMS ON“ გაგზავნით („SMS ON“ ბრძანება უნდა გაიგზავნოს იმ ნომრიდან, რომლიდანაც დაფიქსირდა მოთხოვნა სარეკლამო შინაარსის შეტყობინებების გათიშვაზე).

### **3.3. მიკრობანკი ვალდებულია:**

3.3.1. კლიენტისგან მობილური ნომრის შეცვლის თაობაზე, მიკრობანკში წერილობითი ფორმით მიღებული შეტყობინების საფუძველზე, უბრუნველყოს მობილური ნომრის ცვლილება და მასზე SMS სერვისის გააქტიურება.

### **3.4. მიკრობანკი უფლებამოსილია:**

3.4.1. კლიენტის SMS სერვისით მომსახურების მიზნებისთვის საჭირო ინფორმაცია (მათ შორის, კლიენტის პერსონალური ინფორმაცია), მიაწოდოს სს მიკრობანკ „ემბისისთან“ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ სატელეკომუნიკაციო (მობილურ) ოპერატორ(ებ)ს, რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან მიკრობანკის მიერ მინოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

3.4.2. არ შეასრულოს კლიენტის დავალება კლიენტის მიერ მიკრობანკისთვის არასწორი შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში.

## **4. SMS სერვისის მოქმედების ვადა**

4.1. წინამდებარე პირობები ძალაში შედის კლიენტის მიერ „SMS სერვისის გააქტიურების შესახებ“ განაცხადის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ.

4.2. SMS სერვისით მომსახურება ვადამდე წყდება:

4.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

4.2.2. მიკრობანკის მიერ, თუ კლიენტი არ უზრუნველყოფს SMS მომსახურების ყოველწლიური საფასურის გადახდას;

4.2.3. კლიენტის მიერ, SMS სერვისის შეწყვეტის შესახებ მიკრობანკის შეტყობინების შემთხვევაში.

## 5. პრეტენზიების და დავების გადაწყვეტის წესი

5.1. მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკრობანკი „ემბისის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ბეჰირი, ასევე წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებგვერდზე <http://www.mbc.com.ge/> ან/და ელ. ფოსტაზე [complaint@mbc.com.ge](mailto:complaint@mbc.com.ge). პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სატელეფონო კონტაქტის მეშვეობით, ნომერზე - 032 2 505 002, ან უშუალოდ მიკრობანკის შესაბამის სერვის ცენტრში. მომხმარებლისგან მიღებულ პრეტენზიაზე პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

5.2. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 6. დასკვნითი დებულებები

6.1. მომსახურებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე შეთანხმებით, დარეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ დებულებებსა და მოქმედ კანონმდებლობას შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება.